საქართ. - მუშარაზმელ სოც.-უფლებრალისტთა სამგლოლიანი პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღია ადილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 235

კვირა, ივლისის 2-ს 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

თანასწორად ქალ. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა

ამა წლის მაისის 24-ს თვითეულ სამოქალაქო უბნებისათვის ინიშნება შემდეგი დღეები სადარაბო ქირის შემოსატანად ყოველ თვიურად ამა წელს. დარაბების მეპატრონეებმა აუცილებლად უნდა შემოიტანონ სადარაბო ქირა ქალაქის სალაროში აღნიშნულ დადებში.

1 უბანი.	28—29	რიცხვში ყოველ თვისა.
2 „	15,16 & 17	„ „ „
3 „	18,19 & 20	„ „ „
4 „	12,13 & 14	„ „ „
5 „	8 9,10,11	„ „ „
6 „	30	„ „ „
7 „	21—22	„ „ „
8 „	4,5,6,7	„ „ „
9 „	1,2,3	„ „ „
10 „	23,24,25	„ „ „
11 „	26	„ „ „
12 „	27	„ „ „

ივლისის 1-დან სადარაბო გადასახადი იმ დარაბებზე, რომლებზეც არ იყო მომატებული ხახით შეწირული გადასახადი ამა წლის მაისის 1-ლიდან გადიდებული იქნება 50 პროცენტით.

ის მოიჯარადრეები, რომლებიც ადნიშნულ დადაში არ შამოიტანებენ საიჯარო გადასახადს, გადაიხდიან ჯარიმას 50-ათას მანეთს ყოველ გადაცილებულ დღეებზე. ის მეპატრონეები, რომლებიც გადააცილებენ 10 დღეს, კარგავენ უფლებას. თავის დარაბაზე.

ქალ. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის სახელით: განყოფილების გამგე: თ. ლლოხტი.

ქალ. ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ კვირას 2 ივლის, დღით 12 საათზე, აღმასკომის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოთ ჩამოთვლილ სასტუმროებისა:

1) **ახლამი**—გოგოლის ქ. № 85
2) **რომი**—კოტლინოვის ქ. № 3
3) **მასხა**—სიონის ქ. № 8
4) **ხაერო**—ელისაბედის ქ. 25
5) **პორანი**—თბილისის მოედანი № 5
6) **პეტროგრადი**—პლეხანოვ. ქ. № 6
7) **ერმიტაჟი**—პუშკინის ქ. № 29
8) **რიგიერა**—დიდი მთავრის ქ. № 1
9) **კომერციული ნომრები**—ირაკლის ქუჩა № 8
10) **ინტერნაციონალი**—ერევნის მოედანი საბჭოთა სახლი № 7.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში მეორე ოთახში საჯარო მაგიდის გამგე დარახველიძესთან. 4—4

სახელმწიფო ოპერის თეატრში

ორშაბათს, 3 ივლისს, საღამოს 6 ნახ. საათზე შესდგება ახლად არჩეულ

მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომა.

სხდომაზე მოწვეულია ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყველა წევრები. ამავე დღეს, საღამოს 5 საათზე, პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება

საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომა

საბჭოს სხდომის შემდეგ გაიმართება კონცერტი.

დროებით მანდატებს დეპუტატები მიიღებენ რაიონულ საარჩევნო კომისიებში და საგარნიზონო კომისიაში.

ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ჩვენი მუშაობა

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულისკვეთება“.
ნიკ. ბარათაშვილი.

მე-19 საუკუნის გასწვრივ ჩვენი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების უკუდმართი პირობები შედეგი იყო რუსეთის იმპერიის მსვლელობის აღმოსავლეთისაკენ. დიდი კულტურული წარსულის, მკვონე პატარა ერის პოტენციალი, არც ასიმილიაციის კანონს ემორჩილებოდა და არ ითქვიფებოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო და ვერც აღწევდა ეროვნული თავისუფლების გამტკიცების საქმეს, რამდენადაც ამისათვის მცირე იყო საქართველოს ფიზიკურ-ეკონომიური რესურსები.

რამდენადაც მეტი იყო მოწოლა რუსული იმპერიალიზმის, იმდენათ მეტი იყო წინააღმდეგობა და ნაციონალურ თვითშეგნებისაკენ წაქეზება დამონებული ერის. მთელი რიგი ამბოხებანი ამის უტყუარი შედეგია. ქართველი ხალხი ხან სისხლიან სტიქიაში გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას, ხან სიტყვა-კაზმულ მწერლობაში შექმნიდა ნაღვლიან სევდას ეროვნულ ნიადაგზე და ხან კი პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა ერის განსათავისუფლებლად.

ამ რიგად მთელი მე-19 საუკუნე სამზადისი იყო განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური მიმართულების წარმოშობისათვის, რომელსაც ერთი მხრით უნდა გამოენახა სოციალური თეორია ქართველი ერის უმრავლესობის, მშრომელის მასისათვის, ხოლო მეორეს მხრით უნდა დაესახა სწორი გზა დაკარგული ეროვნული თავისუფლების აღდგენისა.

სოციალ-ფედერალიზმის წარმოშობა ამ პირობებში ლოდიკური და შესაძლებელი იყო. ხსენებული პოლიტიკური მიმართულება წარმოიშვა ქართველი ხალხის ტრადიციის ნიადაგზე და მას უნდა მიეცა ამავე ხალხისათვის სწორი პოლიტიკური ფორმულა, რომელიც მას დაიხსნიდა ეროვნულ-სოციალური ჩაგვრისაგან.

სოციალ-ფედერალიზმმა თეორიაში სავსებით შესძლო ამ დიდი მისიის შესრულება. ერთი მხრით სოციალისტური და მეორე მხრით ნაციონალური მომენტი საქართველოს სინამდვილისა, შეათანხმა მან და მოგვცა არა მარტო ვიწრო პროგრამა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური აღორძინებისა, არამედ სინთეტიურ მთლიანობაში მოიყვანა სოციალურ ძალთა ურთიერთობა და დასახა სწორი გზა ეროვნების თავისუფლების განადგურებისა და სოციალიზმის განხორციელებისათვის.

მაგრამ პოლიტიკური პარტია არ არის მარტო თეორია. იგი ერთი მხრით ჰგულისხმობს თეორიას, იდეოლოგიას, ხოლო მეორე მხრით ორგანიზაციას, პრაქტიკას. თუ ეს ორი მომენტი ვერ შეერიგა და ვერ შეაკავშირა პოლიტიკურმა პარტიამ, იგი განწირული იქნება პოლიტიკური ბრძოლის მოედანზედ და ვერ შესძლებს რაიმე მნიშვნელოვანი როლის შესრულებას.

ჩვენს პოლიტიკურ მიმართულებას ორგანიზაციულად უკულმართი ბედი ეწია. ეროვნულად განწყობილი არისტოკრატიული და ბურჟუაზიული ნაწილი შეიხიზნა პარტიაში და ამით პარტიის სოციალისტური სახე დაიჩრდილა. ეს იყო უმთავრესი მიზეზი ჩვენი პარტიის ტრაგედიისა და აგრეთვე მენშევიკების საზიზღარი დემაგოგია და ცილისწამება

მართალია, შეიძლება პოლიტიკური პარტია მოსპოს ძლიერი მოწინააღმდეგის თავდასხმამ, მისმა სასტიკმა პოზიციამ და სხვა, მაგრამ თუ დამხდური პოლიტიკური მიმართულება იდეოლოგიურად მაგარი ხერხემლის მატარებელია და ორგანიზაციულად მტკიცე და ურყევი დამცველი თავის იდეოლოგიური სიწმინდისა, ასეთი პოლიტიკური პარტიისათვის თავდასხმა არა თუ საზიანოა, არამედ სასარგებლოა. იგი მას გამოაცოცხლებს, შეკუმშავს, შეაკავშირებს და გაამტკიცებს.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში კი ცოხე შიგნიდან ტყდებოდა. სხვა და სხვა იდეოლოგიისა და ინტერესების ხალხი ვერ ქმნიდა პარტიის სიმკვრივეს და ამის შედეგი იყო, რომ ეს პოლიტიკური მიმართულება საქართველოში დედა და მშობელი გახდა სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიების, რომელთა შორის ზოგი მარცხნივ მიდიოდა და ზოგი მარჯვენე.

პარტიის შინაგან ინტერესთა სხვადასხვაობიდან გამომდინარეობდა პრაქტიკული პოლიტიკის მერყეობა და იგი ხან მარცხნივ ქანდებოდა ხოლო უმთავრესად კი, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, მარჯვნივ მიისწრაფვოდა.

ასეთი პოლიტიკური პარტია რა თქმა უნდა ვერ შესძლებდა ვერც მასის ხელმძღვანელობას და ვერც რაიმე დიდი როლის შესრულებას პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ასეც მოხდა.

იდეოლოგიურმა სიწმინდემ და თეორეტიკულმა სისწორემ, ვერ იხსნა ორგანიზაციული დაბნევა და დაშლილობა ჩვენი პარტიის. მენშევიკური საქართველოს დროს, როდესაც ეროვნული საკითხი გადაიჭრა, პარტია არსებითად მოკვდა და დაკარგა თავისი სახე. ორი დროშის მატარებელი პარტიის მიერ ერთი დროშა, ეროვნული დროშა, გახდა სათაყვანებელი და მეორე დროშა, სოციალისტური, სრულებით მიიჩქმალა. მთელი თავისი იდეოლოგიით ფედერალისტურმა პარტიამ პროგრამაში ჩაიწერა „საქართველოს დამოუკიდებლობა“ და სეპერატიზმის პრინციპიალი მიღებით, ერთ ხელის მოსმით გაანადგურა ფედერალისტური მსოფლმხედველობა. აქტიური სოციალიზმის პრინციპების მატარებელმა ხალხმა „დემოკრატიზმით—სოციალიზმისაკენ“ მიმართა თავისი გზა და ამით მენშევიზმის ლიბერალური ფრაზეოლოგიის მორევში შეიჭრა.

დემოკრატიული საქართველოში ამ დონემდე დაცემა არჩილას რევოლიუციონური, სოციალისტური და ფედერალისტური მსოფლმხედველობა და პარტიამ ფალსიფიკაცია უყო მთელ თავის თეორიას, იდეოლოგიას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამავე დროს პარტიაში მოქმედობდა და იბრძოდა პარტიის პრინციპების სადაც გამგები ნაწილი მემარცხენე ფრთა, რომლის მხარეზედ იდგა პარტიული მასის დიდი უმრავლესობა.

ჩვენი პარტიის ისტორიაში ახალი დატა იწყება საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებით. ის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა პარტიაში მომენტის გაგებისა და პრაქტიკული პოლიტიკის ნიადაგზე რადიკალურად დაუპირისპირდა ერთმანეთს, რასაც შედეგათ მოყვა მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტიის ფორმალური ჩამოყალიბება.

არსებითად, ჩვენთვის ეპიტეტი „მემარცხენე“ არაფერს არ ამბობს, რადგან ჩვენ არც მემარჯვენე ვართ და არც მემარცხენე ჩვენი იდეოლოგიის მიმართ, არამედ მისი პირდაპირი, სწორი გამგები და მისთვის მებრძოლი.

შექმნილი რთული მდგომარეობის გამო, რომელიც მდგომარეობდა უცხო ძალის შემოსვლაში, ეგ. წოდ. მემარცხენე ფრთას პარტიისა არ გაჰყვა პარტიის უმრავლესობა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს მომენტის ზეგავლენაა და ამდენათვე ეფემერული და წარმავალია.

ჩვენ გვჯერა, რომ ის „განწირული სულისკვეთება“ რომელიც მთელი მე-19 საუკუნის გასწვრივ ქართველ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში არ გაქრება. ამ არ გაქრობის თავდებია ის გარემოება, რომ ჩვენი მსოფლმხედველობა მარჯვენეს, ნაღდდება რეალ ცხოვრებაში. გუშინდელ ცენტრალისტებს დღეს ფედერალიზმის დროშით ატარებს ისტორია, გუშინდელი მომლოდინე ხალხი სოციალიზმის აუცილებლობისა, დღეს აქტიურად ებრძვის კაპიტალიზმს და ბრძოლის გზით მიდის სოციალიზმისაკენ.

ჩვენ, მემარცხენე ფედერალისტებს გვმართებს არა მარტო თავდადებული პოლიტიკური მუშაობა ქართველი ხალხისა და რევოლიუციისათვის, როდესაც ბურჟუაზიული პარტიები ბოიკოტს აწარმოებენ, რევოლიუციონურ პერიოდში, არამედ ჩვენ მეორე დიდი მისიის შესრულებაც გვევალება რომელიც, მდგომარეობს სოციალ-ფედერალიზმის გადარჩენაში.

პარტიის უკანასკნელი გაწმენდა მოხდა მე-6 კონფერენციაზე. პარტიას ეს დიდი ოპერაცია ძვირად დაუჯდა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზმის ჯანმრთელობისათვის ეს ქირურგიული აუცილებლობა იყო.

დღიდან მე-6 კონფერენციისა ჩვენ ისევ აღვადგინეთ პარტიის სოციალისტური სახე და დაუკავშირეთ იგი ნაციონალურ სახეს.

ჩვენ ორივე დროშას თანაბარი და თანასწორი მნიშვნელობა მივაკუთვნეთ და ამით დიდი ნაბიჯი გადავდგით სოციალ ფედერალიზმის გადარჩენისათვის. ჩვენი მუშაობა უნდა იქნეს არსებითად იმ მიმართულებით, რომ სოციალ-ფედერალიზმი საქართველოში დარჩეს არა აზროვნების ხელიალად, არამედ მძლავრ და მტკიცე პოლიტიკურ მიმართულებად.

ამის ღირსია ჩვენი იდეოლოგია, ამის ღირსია საქართველოს ტრადიციის ნიადაგზე აღმოცენებული ჩვენი მოძღვრება და ამის ღირსია საქართველო, რომლითაც იგი მოიპოვებს ეროვნულ-სოციალისტურ იდეათა განხორციელებას.

ს.—ელი.

მიზანშეწონილებისაკენ *)

ნატურალ გადასახადის შემოღება რუსეთის რევოლიუციის ნაყოფია. ის პირობები და გარემოება, რომელშიაც უხდებოდა ცხოვრება საბჭოთა რუსეთს აუცილებლად უკარნახებდა ხელისუფლებას ნატურგადასახადის სისტემაზე გადასვლას. უცხოეთ-მოსაზღვრე სახელმწიფოებთან ეკონომიური კავშირის გაწყვეტა, სასტიკი ეკონომიური ბლოკადა, ფულის კურსის მნიშვნელობის თითქმის ნულამდე დაყვანა და მრავალი სხვა და სხვა მიზეზები იძულებულს ხდიდა საბჭოთა მთავრობას უარი ეთქვა ფულის ნიშნებით გადასახადების გასტუმრებაზე და ხორბლეულობის, ხილეულობის და სხვა სამეურნეო პროდუქტების აკრეფისათვის მიემართა.

ნატურ გადასახადს რუსეთში საკმაო ისტორია და პრაქტიკა აქვს. მართალია, ნატურ გადასახადმა სავსებით ვერ გაამართლა იმედები, ვერ ამოსწურა წინდაწინ განსაზღვრულ გეგმების ყველა მუხლები, მაგრამ უნდა ითქვას, გადასახადის ასეთ სახის სისტემით მაინც დაძლეულ იქმნა დიდძალი დაბრკოლებები და მომზადებულ იქნა ნიადაგი უფრო სადი, რეალი ეკონომიური პოლიტიკისათვის.

ჩვენში ნატურალ გადასახადს აქვს სულ მოკლე ხნის ამბავი. ნატურგადასახადი ქართველ გლეხ კაცობისათვის ახალი ხილი იყო, ახალი მოვლენა და, როგორც ასეთი, მისთვის არც იმდენად მისაღები. საქართველოს სპეციფიური მდგომარეობე არ ქმნიდა ნატურგადასახადის სისწორით გატარების პირობებს, მოუსავლობამაც გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ნატურგადასახადზე.

მთელს საქართველოში მეტად მკრთალად ჩატარდა ნატურგადასახ. დის კამპანია. ვერ გამართლდა მოსალოდნელი იმედები. შენაკვეთის უმნიშვნელო ნაწილი განაღდდა, სულ უმნიშვნელო რაოდენობა. ღმოსავლეთ საქართველოში ერთად შეგროვდა 86,312 ფ. ხორბლეულობა, რაც შეადგენს წინდაწინ განსაზღვრულ გეგმის მიხედვით აღნუსხლ რაოდენობის მხოლოდ 17,2 პროცენტს. დასავლეთ საქართველოში ხორბლეულობაში ნატურგადასახადმა მოგვცა შენაკვეთის 33,3 პროც.

უფრო სავალალო სურათს იძლევა ნატურგადასახადის საქმე ხორცეულობისა, მატყლეულობისა და მწვანეულობაში. ამის შესახებ თითქმის ლაპარაკიც შეუძლებელია.

ჩვენთვის ყოველთვის აშკარა იყო ნატურგადასახადის ახლობელი რეზულტატები. ნატურგადასახადზე ჩვენ დიდს იმედს ვერ ვამყარებდით, რადგან ვხედავთ გადასახადის ამ სისტემაში მრავალგვარ უარყოფით მომენტებს, მრავალ შეუსაბამობას. ეკონომიურ-ფინანსიურ რესურსების აღორძინების თვალსაზრისით ნატურგადასახადი ჩვეულებრივი პოლიტიკა იყო, რომლითაც შეუძლებელი იყო არსებითად რამე გაკეთებული ყოფილიყო აწეწილ-დაწეწილ ეკონომიურ საქმეში. ჩვენ იმ თავითვე ავღნიშნეთ ნატურგადასახადის უმნიშვნელო როლი ჩვენს ცხოვრებისათვის და განვმარტეთ, დაწვრილებით ადგენ ეთ თავის დროზე ამის მთავარი მიზეზები. ნატურგადასახადმა ათასგვარი ინსტიტუტების დაარსების საჭიროება შექმნა, გაართულა სახელმწიფოებრივი აპარატი, დატვირთა რესპუბლიკა ზედმეტ ბარგებით. ტექნიკურადაც შეუძლებელი შეიქნა ნატურგადასახადის ნორმალი წარმოება. მართლაც და, როგორ შეიძლება ასე იოლად მცხოვრებლებზე გაწერილ რამოდენიმე კვერცხის და გირვანქა ხორცის აკრეფა?! და აი სწორედ სამწუხარო შედეგებზე ლაპარაკობს სტატისტიკური მასალები,

როგორც მოსალოდნელი იყო, ნატურგადასახადმა დიდად შეუწყო ხელი ფულის ღირებულების გაბათილებას. სახელმწიფო გართული იყო სულ ახალი და ახალი ემისიებით. დაბა-სოფლებში დაგროვდა უარებელი ფულის ნიშნები. სახელმწიფო გლეხს ფულის მაგიერ სიმინდსა და ლობიოს სთხოვდა, ხოლო თავის ფულის გაღებაზე უარს ამბობდა. ამით უფსკრულისაკენ მიეექანებოდა მანეთის კურსის სტაბილიზაციის საქმე. ეს დიდი მიზანშეწონილობა, დიდი ანომალია იყო ფინანსიურს პოლიტიკაში. აშკარაა, ხელისუფლებას ყოველივე ეს სრულებით არ ჰქონდა მიზნად. ცხოვრების ლოლიკას გაჰქონდა თავისი..

ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც არ იყო მისაღები ნატურგადასახადის არსებული სახე. გლეხისთვის უცნაური მოვლენა იყო გადასახადის ნატურით გასტუმრება. ღვინისა და კვერცხის, პურის და ხორცის, კიტრის და მწვანილის სასურკომის საწყობში მიზიდვას გლეხი ვერ შეეგუა და კიდევ დიდ ხანს ვერ შეეგუებოდა. წვრილფეხ. პროვოკატორ-დემაგოგები მოხერხებულად სარგებლობდნენ ამ მდგომარეობით, აშუქებდნენ თავისებურად ნატურგადასახადის რაობას და გლეხ-კაცობაში ქმნიდნენ არსებულ წყობილებისადმი მტრულ განწყობილებას. ვინც დაკვირვებია სოფლის ცხოვრებას, მისთვის ნათელი არის,

*) სადისკუსიოდ.

რედ.

რა მდიდარი სადემაგოგიო მასალა იყო ნატურგადასახადი ნაძირლების ხელში გამარჯვებული,

ნატურგადასახადის შესახებ ჩვენ ბევრს ვსწერთ და ვლაპარაკობთ. ჩვენ მოვიხსენებთ მის შეკვლას და ახალ ფულის სისტემაზე გადასვლას, სამედიცინოდ, ჩვენი დიპლომატიის ჭეშმარიტება უკვე თითქმის შეიცნო ხელისუფლებამ და გადადგმული არის სათანადო პრაქტიკული ნაბიჯიც. ამას მოწმობს მთლიანი ნატურგადასახადის შესახებ დეკრეტი № 5

მთლიანი ნატურგადასახადის სისტემას გაცილებით დიდი უპირატესობა აქვს, საზოგადოდ, დღემდე არსებულ ნატურგადასახადის სისტემასთან. ახალი დეკრეტი სპობს მრავალ უბერხულობას, ანთავისუფლებს ნატურით გადასახადის საქმის ზედმეტი ბიუროკრატიზაციისაგან. „ნატურგადასახადი გამოიანგარიშება და გამოიხატება ერთიანი წონის რაოდენობიდან — ფუთი ხორბალში". როგორც ვხედავთ, არც ხორცზე, არც კვერცხზე და მრავალ წვრილმანებზე განსაკუთრებული გადასახადი არ იქნება ამიერიდან დაწესებული. მოსპობილია ნატურგადასახადის სპეციალიზაცია. ეს დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული არსებულთან შედარებით. ჩვენ ვფიქრობთ, აქაც შეუძლებელია გაჩერება. სადღა ფინანსური პოლიტიკა, ფინანსიურ სისტემის გაბატონება ჩვენი ცხოვრების ყოველ კუნჭულზე,—ეს რას შეუძლია დადებით შედეგების, მდიდარი ნაყოფის მოცემა. ამ ჟამად ფულის კურსის სტაბილიზაციის საქმე მაგარ ჩაჩოებში ყალიბდება. ამ პროცესს უფრო დავიჩქარებთ, თუ ნატურით გადახდის მაგიერ ფულის ნიშნებით შემოვიღებთ გადასახადის წარმოებას. გართულდება ფულის ტრიალი, გაფართოვდება ფულის ბაზარი, მოკლედ—შედარებით გაჯანსაღდება ფინანსები. ეს გაკვრით გათვალისწინებული არის ახალ დეკრეტში. მეორე მუხლის შენიშვნაში ვკითხულობთ: **„გადამხდელთ უფლება ეძლევათ... შესცვალონ გადასახადი ფულის ეკვივალენტით თანახმად ხახურსათო კომბინატის განსაკუთრებულ ინსტრუქციისა".** ეგ რამდენიმე სიტყვა დეკრეტის უბრალო შენიშვნაა, მაგრამ, ყოველ ეკვს გარეშეა, იგი დაიდება სარჩულად დეკრეტს ცხოვრების გატარების დროს, გადამხდელთა უდიდეს ნაწილისათვის არსებითი დირებულება ექნება სწორედ იმ შენიშვნას და ისინიც ისარგებლებენ თავიანთ უფლებით.

ამრიგად, დეკრეტ № 5 თ განსაზღვრული მეოთხეთი ნატურგადასახადი ფაქტიურად მომასწავებელი არის გადასახადთა სფეროში ფინანსიურ სისტემაზე გადასვლის. ეს დეკრეტი თვალსაჩინო გადახრაა ეკონომიურ-ფინანსიურ პოლიტიკისა მიზანშეწონილობისაკენ. ამიტომ უკვე ხელთ არის მნიშვნელოვანი შედეგების გარანტია.

გ. მუშიშვილი.

ზღაპრული სინამდვილე

ზღაპარს უფრო გავს, მაგრამ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, ცხოვრებაში პრაქტიკულად ნაცადს და განხორციელებულს. საქმე შეეხება პურის მოსავლის გათასკეცებას, კიდევ მეტი — გაათასორმაგებას. ეი მაგალითად, ჩვეულებრივი წესით ერთ ქცევა მიწაზე ჩვენი გლეხი სთესავს დაახლოებით სამ ფუთ ხორბალსა და მოუმკავს 30 ფუთი, ე. ი. ათკეცი მოსავალი, როცა საუკეთესოდ ითვლება. მაგრამ თუ პურს მოვიყვანთ ბოხტნური წესით, მაშინ კი ერთ ქცევა მიწას უნდა დაახლოებით 8 გარვანქა თესლი და იძლევა 240 ფუთ მოსავალს, ანუ გათასორასკეცი-ულს.

ეს ახალი წესი პურის მოყვანისა ცნობილია რუსეთში ამ რამდენიმე წლის წინად ექიმ კარტამიშევს, რომლის ყანა ბოსტანი დაუთვალიერებია ეურნალისტ ვ. სმირნოვს და ეს ლა აცნობს მკითხველს მოსკოველ გაზეთის „პრავდა"-ს № 133 ში. თითონ ექიმი კარტაშევი ყოველ წლიურად სთესავ თურმე ნახევარ გირვანქა ხორბალს და მოუმკავდა 15 ფუთი, რაც მას ყოფნიდა.

ამისათვის საჭირო ყოფილა მიემართოთ ბოსტნურ წესს. შემოდგომაზე საკენე მიწა უნდა დაბარეთ, ე. ი. გადაბრუნოთ ბარით. დაბარული მიწა ზამთარში იყინთება წყლით და ინახავს ბევრ სინესტეს. გაზაფხულზე მიწა ისევ ხელახლად უნდა დაბარეთ ღრმათ და დაფხვნათ—მოასწორეთ ფოცხით. წინდაწინ უნდა მოამზადოთ სანერგე, რომლის სიდიდე დამოკიდებულია თვით ყანის სიდიდეზე. სანერგეს იმიტომ ვუწოდებთ, რომ ჯერ იქ უნდა დათესოს პური და მოამზადოს მსხალნერგი, ისე როგორც ზოგიერთი ბოსტნეულისა, მაგალ. კომბოსტოს, პატრიჯნას და სხვ.

სანამ პურს ნერგი გადასარგავი გახდებოდეს, საკენეთ დამზადებული მიწა უნდა დახაზოთ, რომ მცენარე დარგოთ სწორ მწკრივ ე. ამისათვის უმჯობესია გაკეთოთ სახაზავი ფარცხი. აიღეთ ფიცრის ნაჭერი, ან სხვა ჯადრო გამოსადეგი ხე, სიგრძეთ, თუ გინდ ერთი საჟენი და ყოველ ნახევარ ადლზე გაუკეთეთ კბილები ფოცხივით, მაგრამ ჩაარჭვეთ გრძელი ლურსმები. მოამზადეთ ამ რიგად კიდევ მეორე სახაზავი — ფარცხი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კბილები დაშორებული ქონდეს ერთმანეთს ერთ ადლზე. ერთი ასეთი სახაზავით დაფარცხეთ (დახაზეთ) მომზადებული ადგილი სიგრძეზე, მეორეთი განზე. მიიღებთ ხაზებს ბადის. ყოველ ოთხკუთხედში ექნება სიგრძე ნახევარი ადლი და განი მეოთხედი ადლი. კუთხეებში ჩაარჭობთ წვეტიან ჯოხს, პალოს და შემდეგ ჩრგვლეთ პურის ნერგს. გადარგვას უნდა შეუდგეთ, როცა ჯიჯილი სანერგეზე გაიკეთებს ორ ფოთლს. ნერგი მიწაში უნდა დაფაროს მეორე მუხლამდე. დარგვის დროს თან უნდა ჩაასხათ სასუქი. ექ. კარტაშევი ასე ეპატიჟებდა მიწას ოთხ წელიწადში ერთხელ.

ამ წესით დარგული პურის მცენარე იკეთებს ორ წყაბ ფესვებს: ერთს ღრმათ მიწაში და მეორეს უფრო ზეკით. ამიტომ მას ვერ რევნებს ყვავილი. ქვეითა ფესვები ისე ღრმადაა მიწაში, რომ მუდმ შინაულობს საკმაო სინესტეს. ასეთი მცენარე მაღე იზრდება 16 დან ოც ღერომდე. ყოველი ღერო იკეთებს თავთავს 60—80 მარცვლიანს და თითო მარცვალი ორნახევარ ჯერ მეტია ჩვეულებრივ პურის მოსავალზე. სათესლეთ უმჯობესია ადგილობრივი პური, რომელიც შეჩვეულია ჰავას. ასეთი უბრალო წესით შეიძლება თურმე კაცმა მოიყვანოს წელიწადში სარჩო და თავი დაიხსნიოს პურის კრიზისს.

რა დასკვნის გამოყვანა შეიძლება აქედან. 4—5 წევრიან ოჯახს უნდა წლიურად დაახლოებით 60 ფუთი პური. ჩვეულებრივი წესით 60 ფ. პურის მოსავლებთ უნდა დაბარეთ ორი ქცევა მიწა და დასთესოთ 16 ფუთი პური.

ბოსტნური წესით კი 60 ფუთ პურს მოვიყვანთ სულ პატარა მიწის ნაკვეთზე, რომელსაც სიგრძე ექნება დაახლოებით 16 საჟენი და 14 საჟენი. ასეთი

ტფილისის მუშათა და წითელ-არმიელთა საბჭოები

ტფილისის ქალაქის საბჭოს მეორე არჩევნები დასრულდა და ორშაბათს, 3 ივნისს შესდგება პირველი სხდომა. არჩევნების მიმდინარეობამ დაგვიმტკიცა, რომ მომავალი მეორე საბჭო გაცილებით მეტი ნდობითა და ავტორიტეტით იქნება აღჭურვილი, მხრივ, ხასლების მხრით, ვიდრე ეს საბჭო არსებობის წინ ტფ. მუშათა კლასმა კიდევ არ იცოდა პრაქტიკულად უპირატესობა საბჭოთა სისტემისა. ტფ. ქალაქის საბჭოს მოღვაწეობამ დაუმტკიცა მას ნათლად, თუ რა უპირატესობა აქვს და ცხოველმყოფელობა შესწევს მუშათა კლასის დიქტატურის ორგანოს საბჭოებს.

და მართლაც მეორე საბჭოს არჩევნებში ტფ. მუშათა კლასმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო, ერთსულოვანად გამოსთქვა თავის რევოლიუციონური ნება და აირჩია საბჭოთა ძალა-უფლების განმტკიცებელნი—კომუნისტები, მემარცხენე სოც.-ფედერალისტები და თანამგრძნობი უპარტიონი, რაღა თქმა უნდა უკანასკნელი არ ჰგავს მენშევიკურ „უპარტიოთ" რევოლიუციის მტრებს, რომელნიც ამ სახელწოდებას ატარებენ თავის სილაჩრისა და სიმხდალის დასაფარავად.

კერძოდ ჩვენი პარტია, მემარცხენე სოც.-ფედერალისტებისა ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას არჩევნებში და თითქმის ყველა საარჩევნო კრებებზე გამოდიოდა თავის პლატფორმით, რომელსაც თანაგრძნობით ხვდებოდა დამსწრენი.

პირველ საბჭოში ჩვენ გვყავდა 10 დეპუტატი.

ტფ. ქალაქის მეორე საბჭოში გავიდა მემარც. სოც.-ფედერალისტებისაგან შემდეგი 15 დეპუტატი: პაატაშვილი ვასილ, ტოროტაძე ერასტო, მელაშვილი დავით, ასლანიშვილი იოსებ, ვადაჭკორია იპოლიტე, დუმბაძე ივანე, ღლონტი თედო, ჭანიშვილი პარმენ, სეფერთელაძე მირიან, ხუნდაძე სიმონ, ამაღლობელი სერგო, ღოღობერიძე სერგო, ახალკაცი პეტრე, ცაგარეიშვილი ლონგინოზ, ჩახუნაშვილი ეფრემ.

რაუდენ გვეტაძე

I

უვერტიურა

საქართველოში მუდამ ჰქროდა ქარი, მუდამ ვლავენ ამოღებული ხმლები.

შუა მდინარიდან დღევანდელ საქართველომდე, რაინდთა კეთილშობილურ სისხლით არის მორწყული გზები.

მაგრამ უკანასკნელი ხუთი წლის ისტორია საქართველოისა უფრო ჰკავს ბედითი სიზმრებს.

რამდენი შიში, რამდენი სიხარული, რამდენი თავგანწირვა... ყოველი ქართველის მეხსიერებაში გაიელვებენ ხსოვნები—მოაგონდება რევოლიუციის პირველი დღეები, როცა მთელი ხალხი დამზადებულ მხიარულ ბავშვებს. მოაგონდება ღელვნება იქვეითი, მოაგონდება, რომ ჩვენი ზარები აატირა მოახლოებულმა სიშავემ ოსმალთა ჯარებისა და დაფეთქილ კარებში გველანდიბოდა თათრის ხელში თხის რქაზე გამართული დანა; მოაგონდება გერმანელი მხედრები, რომელნიც დადიოდენ საქართველოში როგორც სფინქსები; მოაგონდება თავხედი ინგლისელი ჯარის კაცები და შავკანიანთა მწკრივები, ტფილისის გრძელ ქუჩებს რომ ევლებოდენ სამგლოვიარო არშიასავით.

რამდენიმე ჯერ დაიკიალა ქარმა ფოლტეხილზე და უკანასკნელად გაიხსნა დარიალის კარები..

ყველაფერ ამას, საქართველოს დაუსოფლებელ რაინდს, ფოთოლ ჰქონდა კავშირი და გაგლენა ქართულ პოეზიაზე, ის ფოთოლ იმორკალებოდა წინ, ახალი მოღვაწეებისაკენ მიმართულ შემოქმედების გაჭანებას.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა ქართულმა პოეზიამ უკანასკნელ ხუთი ათი წლის განმავლობაში ბევრი გაბედული ნაბიჯები გადადგა.

II

პოეტი, რომელზეც მე მსურს ვილაპარაკო ეკუთვნის ახალ პოეზიას.

რაუდენ გვეტაძეს აქვს გამოცემული ორი წიგნი—„დაბინდული ქარვები", ქუთაისი 1920 წ. და „ლამეები", ტფილისი, 1922 წ.

მას ახასიათებს უძლიერესი ინტუიცია და შემოქმედების ძალოვანი ენერგია. მისი ლექსები ყოველთვის იძლევიან ინსპირაციას—მკითხველი გრძნობს

პოეტს აქვს ძლიერი ხმა და შეუძლია კიდევ უფრო მაღალი ტონი აიღოს. ის არის უშუალო და ყოველთვის გაბედული. აქვს საკუთარი თემები და წიგნები სავსეა საინტერესო სილამაზეებით და სახეებით.

„დაბინდული ქარვები" იხსნება ხიენეტით „ავტოპორტრეტი". ლექსი მოკრძალებულია და გრძნობით გამთბარი. დამახასიათებელი სტრიქონები:

„ანავის ვუმღერ გატაცებით ჩემს მუხამბაზს...
„ხშირად მაღლობებს გადაგდებულ ვარდის ღერები,—
მაგრამ ამ ქვეყნად როგორც მგოსანს ვინ დამფასებს...

შემდეგ—

„ჩემი ფიქრები ნისლიანი ვერ არიან
რაუდენ
და სონეტის ქვეშ ენებით იწვის რო-
გორც ბადი
ლარიბი გვარი და სახელი: გვეტაძე
რაუდენ".

ჩვენს წინაშე უთუოდ არის პოეტის პორტრეტი, რომელიც მღერის თავისთავის, თავისი მეორე მესთვის, რომელსაც აღლობს „გადაგდებული ვარდის ღერები" და გრძნობს, რომ მის სულის სისათუთეს და კეთილშობილურ სიმაღლეს ვერავინ გაიგებს, ვერავინ დაფასებს. სონეტის უკანასკნელი ტერცინით მან თავის გვარსა და სახელს მოხსნა ძველი ლარიბული მოსასხამი და შემოსა ახალი ბისონით, რომელზეც რითმები „ანიჭარჭყდენ" და „გვეტაძე რაუდენ" მოსჩანან როგორც ძვირფასი თვლები.

ამავე თემას უბრუნდება მეორე ლექსში „რევმჯ"—

„დამტყდარ ლოცვებით შევიყვარე მე
ვაზის ჯვარი,
მარტის ხასიათს ვერ მათვისებს სახე
ატამის,
ანავის ხიბლავს სითამამით დღის ჩე-
მი გვარი...

ამავე ლექსში უკანასკნელ ტაეპში არის შესანიშნავი სტრიქონი—

„როგორც დავრიში ვიარები ძველი
წულებით".

ლექს „უამედობა" მარტო ეს სტრიქონიც გამართლებდა:

„შემოვიხედე მწუხარება ვით ჩაბალახი".

თავიდან ბოლომდე გამართული და გამართლებულია ლექსები: ნინო ჩხეიძე, ქარვის კრიალოსანი, მხატვარი ფიროსმანაშვილი, მარუკიანი ვირი, ლამე სოფელში, უცნობის ლამილი და სხ.

ერთ-ერთ გვეტაძეს აქვს ერთი ნაკლი რომელიც შეიძლება ღირსებაც იყოს. ეს არის ის, რომ რაუდენ გვეტაძე ყვე ზე ნაკლებად განიცდის ლიტერატურის გავლენას, მაგრამ, სამაგიეროდ ის თავისუფალია იმ ნაკლისაგან, რომელიც თანამედროვე მწერლობას თან სდევს, სახელდობრ ეს ნაკლი არის განცდა მხოლოდ ლიტერატურის და სხვა არაფრის გარეშე ამისა. როცა ყველა გრძნობები და ვნებები რომელიდაც წიგნიდან ამოკითხულია, არის ხმიერი რითმები, არის რჩეული სიტყვები, ნაწარმოები არის ესთეტიურად გაწმენდილი, მაგრამ არ არის სიცოცხლე. რაუდენ გვეტაძის ლექსებში ყოველთვის არის სიზოცხლე და თავისებური ხმიერება, სტრიქონები იწვიან საკუთარის ცეცხლით და ანათებენ.

რაუდენ გვეტაძის ქართველ პოეტებში ყველაზე უფრო შეუძლია სთქვას რუს პოეტ კლიუევთან ერთად:

„...Я музыку постиг
без ваших ржавых книг".

ამ უშუალობის ნაყოფია ლექსი „კაკალა" სადაც არის:

„...მოუთმენლად მინდა გავხდე შენი
ქმარი...
...მსურს შევეხო შენს—ტანს ხიოს
რომ ვირვინ ახებს,
...ან არ მქონდეს ენები, ვით დაკოდილ
ტახებს..."

ამ ლექსში უთუოდ არის ენერგია, ლექსი დაწერილია თავისებური ტეხნიკით. ლექსში „შვარლანი და ციგნის ქალი" სახეები ისეა გამოკვეთილი, რომ სტრიქონებს შორის თითქოს სურათები ჩნდებიან. ლექსი ასე თავდება:

„...აშალტილ ტანზე სამოსს აწნავს
მაისის ქარი
და ციკვავს ეშხით, ციკვავს ვნებით,
თვალთმაქცათ, ნაზათ.
...მაგრამ ცვეთანი მეარლანე უხმოდ
დაყვება
როცა დამდება ისვენებენ ქალაქის
გარეთ,
მას ციგნის ქალი ტანშიშველი დაე-
ნახვება...
და მეარლანე ატირდება მის გვერდზე
ნწარეთ".

მეორე წიგნში „ლამეები", არის სამი ციკლი—„ბივრიტის ნატეხები", „ბაბილინა", „საქართველო". პირველ ციკლში არის ლირიული სიწმინდე და პოეტისათვის დამახასიათებელი სახეების ფრენა. განსაკუთრებით შესანიშნავია ლექსები: სიყვარული მოცარტი, გამორეტებული ლამე. ბაბილინა, მწუხარე პეიზაჟი, ტყუპები, თუმცა ამ უსანასკნელში არის დეფექტებიც, მაგრამ მას აქარწყლებს ლექსის ხაერთო განწყობილება და განსაკუთრებით:

...„ქალავ გავშლათ ოფლის მედიდურად
როგორც სარდლები,
ვეძებთ ქვეყანას არ ნახულს და ჯერ
არ გაგონილს,
მაგრამ სოფელი მოსჩანს ისევ ძველი
ხარნინებით
და ვხედავ გაკრულს ძველ ფანჯა-
რაზე ჩემს ლექსს გაქონილს"...

რკალი „საქართველო" უფრო ბაშკარავებს „დაბინდული ქარვებიდან" „ლამეებამდე" განვლილ მანძილს და მიღწევებს.

აქ არის მოცემული სამი შედეგი: „მწუხარება ტფილისით", „ტირილი პროსპექტზე", „უკულმართი სონეტი". ლექსს „მწუხარება ტფილისით" ისე გადაჰყავს მკითხველი თამარის დროში, როგორც ვლ. გუდიაშვილის ნატეტს „მეთორმეტი საუკუნე". აქ ყოველი განცდა არის საქმე და ჯანსაღ სტრიქონებში დამძიმებულია თვით უმჩატესი „სევდიანი თარეზ".

ლექსი „ტირილი პროსპექტზე" მრავალმხრივად არის შესანიშნავი. ეს ისეთი ლექსია, რომელიც ერთგვარად მოსწონთ—„სერიოზულ მოქალაქეებსაც" და პოეზიის მცოდნე ესთეტიკოსებსაც. სონეტი ბროლის სვეტივით არის გაწმენდილი და მთელი, მაგრამ განსაკუთრებით ძნელი და თავისებური ეს ეთ სამგლოვიარო ლექსში თქმა:

...„და როს იგრძენი გაშორდებოდა ფინა-
ღველობა,
გტანჯავდა უხმოდ განწირული ბედის
ქვეყნობა
და სიყვარული ს ქარწილი თვითრი
ქმარის".

იმეორებია ზინიტამდე აღწევს სონეტის ტერცინებში:

...„მოსჩანს მთვარეზე ხმალ გამტყდარი
მამაცი ჯარი,—
და უზეევ შიშით ვეფარები ქვის მო-
ჯირებს.
მოულოდნელად თქვენს სასთუმალს მოძ-
ვრები ჯვარი,
ვით ქაფის სვეტი წამოდგები გაშლილ
ქოჩორით
და ფულდაწყვეტილს, მოგონებით, დიდ-
ხანს გაჩერებს:
ქარიოლლის ციხე, ტაბახმელა, რეხი
კოჯორი".

პირველ წიგნში რაუდენ გვეტაძეს ემჩნეოდა ლექსის ტეხნიკისადმი შედარებით ნაკლები ყურადღება, მაგრამ საჭირო იყო აქეთკენ მიექცია მზერა, რომ

ბარა მარტო გამოასწორა ფორმა, შეტევაზეც გადავიდა.

„უკულმართი სონეტი" გარდა იმისა რომ თავის თავად საინტერესო ლექსია, ერთად ერთი სონეტია ქართულად დაწერილი, რომელიც იკითხება წადმიდანაც და უკუღმიდანაც. ასეთი სონეტი არავის დაუწერია არც რუს პოეტებში. მას მე მოვიყვანთ აქ სავსებით და წაკითხულმა:

(უკულმა)

მგარავალი ბ დი მაწვალებს ღღვთოდ
გავანდო მინდა ფიქრები ვინმეს
ნარვალი თვალის ამევსო ცრემლით

ნისლები ფარავს ისევ ზმანებებს
ავანთე ქარში სანთელი ხატთან
მიხნები მირჩევს მოვიკლა თავი

მეგება ფიხქეშ ძველი ნოხები
განი ოცნების დაპატარავდა
კანი სახისა მოალისფერე

შელება ქარვამ და შემოდგომამ

მეხება სიმტროთ დღეს საქართველოც
დანის ტარება ისევ მჭირდება
ხანი უკურთხი და მოსაწყენი
მეხებათ მაყრის თავზე კვირეებს

(წალმა)

კვირეებს თავზე მაყრის მეხებათ
მოსაწყენი და უკურთხი ხანი
მჭირდება ისევ ტარება დანის
საქართველოც დღეს სამტროდ მეხება

შემოდგომამ და ქარვამ შელება
მოალისფერე სახისა კანი
დაპატარავდა ოცნების განი
ნოხები ძველი ფიხქეშ მეგება

თავი მოვიკლა მირჩევს მიხნები
ხატთან სანთელი ქარში ავანთე
ზმანებებს ისევ ფარავს ნისლები

ცრემლით ამევსო თვალის ნარვალი
ვინმეს ფიქრები მინდა გავანდო
ღღვთოდ მაწვალებს ბედი მტარვალი

ეხლა რაუდენ გვეტაძე მუშაობს მესამე წიგნზე სახელწოდებით „ფირები". რამდენადაც ეს სათაური შესაშინებელია, იმდენად თვით ლექსები დამამშვიდებელია. თემა ფრიად ორიგინალურია და დაშორებული ყოველგვარ ტენდენციურობას, ლექსებში უმაღლესობამდე აყვანილია სრულყოფის საერთო გრძნობა. ჩვენ გვწამს, მესამე წიგნი კიდევ უფრო დამტკიცებს, რომ რაუდენ გვეტაძე იმორჩილებს პოეზიის ალმართებს და მის წინ იშლება შორი გზა.

გრიგოლ ცეცხლაძე.

გერმანიის ამბები

მონარქისტები განაგრძობენ მოქმედებას.

რომი, 30 ივნისი. ბერლინის პოლიციის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად, მონარქისტების მებრძოლი ორგანიზაციები გერმანიაში ამზადებენ მთელ რიგს თავდასხმებს გერმანიის სახელმწიფო მოღვაწეებზე.

მოსკოვი 30 ივნისი, ბავარიის და ვიურტემბერგის მთავრობებმა უარი განაცხადეს გამოაცხადონ თავის ტერიტორიაზე განსაკუთრებული მდგომარეობა, ადგილობრივმა რკინისგზელებმა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა უარი სთქვეს მუშაობის შეჩერებაზე რატენაუს დაკრძალვის დღეს.

ნაუენი. 1 ივლისი. რატენაუს მკვლელობის გამო დაპატიმრებული ტეშოვი გამოტყდა მკვლელობის მოხდენაში: მისი მოკვლა განზრახული ყოფილა ჯერ კიდევ გენუაში ყოფნის დროს.

სიკვდილით დასჯა გერმანიაში.

ნაუენი, 1 ივლისი. გერმანიის მთავრობამ გამოსცა დამატება იმ დეკრეტისა, რომლითაც წესდება სიკვდილით დასჯა ან სამუდამოთ დაპატიმრება ქონების კონფისკაციით ყველა იმ ორგანიზაციის წევრებისათვის, რომელნიც მოიწადინებენ მთავრობის წევრთა მოკვლას.

გაფიცვა ბერლინში.

ნაუენი. 1 ივლისი. ბერლინში მბეჭდავებმა, ლიტოგრაფიებმა და ბეჭდვითი საქმის მუშებმა წარუდგინეს გაზეთების გამომცემელს მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ. ეს მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული. მბეჭდავები გაიფიცნენ.

ბავარიაში.

კრაუდენი. 1 ივლისი. ოფიციალურად უარყოფენ ცნობას ბავარიაში მონარქიული გადატრიალებისა და პრინც რუპრეხტის ბავარიის მეფედ გამოცხადების შესახებ.

პრინცი რუპრეხტი.

ნაუენი. 1 ივლისი. ბავარიის ყოფილი კრონ-პრინცი რუპრეხტი გადასახლდა მიუნხენში.

ესერების პროცესი

მოსკოვი 1 ივლისი. 30 ივნისის დილის სხდომაზე ჩვენების იძულებდა მოწმე მმერალი, ჩეხო სლოვაკიის კომპარტიის წევრი და პარლამენტის დეპუტატი. მოწმე აცხადებს, რომ რუსეთში, მყოფ ჩეხოსლოვაკიის ლეგიონების გაწვრთნას აწარმოებდენ ერთის მხრივ, ანტანტის აგენტები, რომლის გავლენის ქვეშაც მოყვა ჩეხო-სლოვაკიის მთავრობაც, ხოლო მეორეს მხრივ ესერები. ერთნიც და მეორენიც ირწმუნებოდენ, რომ საჭითა ხელის უფლების წინააღმდეგ ბრძოლა არის სოციალიზმისათვის და ჩეხო-სლოვაკიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ამ გზით მათ შეძლეს ჩეხო-სლოვაკიის ლეგიონების მოტყუება, რომელნიც შესდგებოდენ რევოლიუციონერ მუშისა და გლეხობისაგან და ამ რიგთ ჩაითრიეს ისინი კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობაში. ჩქარა ლეგიონერები დარწმუნდენ, რომ ესერები თამაშობენ კონტრ-რევოლიუციონერების როლს და უარი სთქვეს მათთან კავშირზე. და მიუხედავათ უფროსების ბრძანებისა ჯარის-კაცები უარს ამბობენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ლეგიონების სულიერ განწყობილების დასახასიათებლად მმერალი მოუთხრობს რომ პავლი, რომელიც იყო ლეგიონერების უფროსი და დიდი მომხრე რუსეთის ინტერვენციისა. ლეგიონერების მოთხოვნილების თანახმად იძულებული გახდა ხელი მოეწერა მემორანდუმისთვის, რომელშიც შემდეგი იყო ნათქვამი: „მთელი ქვეყანა შეძრწუნდება, როცა გაიგებენ რას სჩადიოდენ ჩეხო-სლოვაკიის ლეგიონერები რუსეთში“ ამ მემორანდუმში აღნიშნული იყო აგრეთვე ისიც, რომ ჩეხო-სლოვაკების მოქმედებაში ბრალი შეუძლია ესერებსა და ანტანტას. მმერალი ამბობს, რომ მოტყუებულნი ლეგიონერები მოვიდენ გონსა და დაჭრუნდენ უკანვე ჩეხო-სლოვაკიაში კომუნისტებთან.

ეხება რა ესერების მუშაობას ჩეხო-სლოვაკიაში ამ ჟამად, მმერალი იტყობინება, რომ ზეზინოვმა და რუდნევმა მიმართეს ჩეხო სლოვაკიის მთავრობას თხოვნით, მისცენ მათ 5 მილიონი კრონი სუბსიდიის სახით. ამ მოთხოვნილებას არჩევდა ფინანსთა მინისტრი, რომელმაც კიდევაც განსაზღვრა ამ ვალის გადახდის წესი.

მმერალის დაკითხვის შემდეგ აქვეყნებენ ჩეხ-კაპიტანის კატოფელის წიგნიდან ციტატებს, რომელნიც საესებით ადასტურებენ მმერალის ჩვენებას და ასურათებს ესერების მოლალატურსა და კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებას ალმოსავლეთში ჩეხო-სლოვაკებს გამოსვლასთან დაკავშირებით.

უცხოეთი

სესხი გერმანიისათვის.

პარიზი 30 ივნისი გამოვიდა რა სენატში გერმანიისათვის სესხის მიცემის საკითხის შესახებ, პუანკარემ განაცხადა, რომ მიუხედავად კონფერენციის ბანკირებას და საკონსულიტუციო კომისიის დასკვნისა, ის ნაადრევად სთვლის მოლაპარაკებას სესხის მიცემის შესახებ. სესხის მიცემის საკითხზე მოლაპარაკების დაწყებისათვის საჭიროა, რომ გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა გაუმჯობესდეს, ვინაიდან ამ ჟამად იგი მეტად მძიმეა.

გერმანიის ვალების შემცირების იდეის მიღება საფრანგეთს არ შეუძლია. გერმანიისათვის კონტროლის დაწესების შესახებ პუნკარემ განაცხადა, რომ თუ გერმანია უარყოფს მოკავშირეთა კონტროლს, მაშინ მოკავშირეებს შეუძლიათ მიმართონ სანქციებს ვინაიდან ეს საკითხი არის გერმანიისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

ვაშინგტონის ხელშეკრულება

ბორდო 30 ივნისი. ლორდთა პალატამ მესამე საკითხის შემდეგ დაამტკიცა იმ ხელშეკრულების კანონპროექტი, რომელიც დადებულ იქნა ვაშინგტონში.

სამოქალაქო ომი.

კრაუდენი 30 ივნისი. თემთა პალატაში დღეს ირჩეოდა საკითხი ირლანდიაში მომხდარ ამბების შესახებ. ჩერჩილმა განაცხადა, რომ ოპერაციები არის მხოლოდ და მხოლოდ ირლანდიის დროებით მთავრობის ხელში და ბრიტანეთის მთავრობა მასში მონაწილეობას არ იღებს. ირლანდიის დროებითი მთავრობის ჯარები აწარმოებენ გაცხოველებულ ოპერაციებს. უკეთებს რა კომენტარიებს ირლანდიაში შექმნილ მდგომარეობას გზ. „ევნინგ სტანდარტი“ ამბობს, რომ დროებითი მთავრობა იჩენს საკმაო ენერგიას.

იტალია და რუსეთი.

რომი 30 ივნისი უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოსკოვში რატიფიკაცია უყო სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც დადებულ იქნა რუსეთსა და იტალიის შორის გენუაში.

კავროხტას შენიშვნა: ამ ცნობების დადასტურება მოსკოვიდან არ არის მიღებული.

მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ.

ბორდო 30 ივნისი შანცერი აწარმოებს მოლაპარაკებას ლლოიდ-ჯორჯთან ლა ბალფურთან იტალიის უფლებათა შესახებ ეგვიპტეში და წმინდა ადგილებში და აგრეთვე მოკავშირეთა პოლიტიკის შესახებ ახლო აღმოსავლეთში.

ავსტრიის მუშათა შორის

მოსკოვი. ავსტრიის რკინის გზელ მუშებს ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურეების ხელმძღვანელებმა მოახდინეს განკარგულება მუშაობის დაუყოვნებლივ განახლების შესახებ. ამავე დროს ვენის ტრამვაის მუშებმა და მოსამსახურეებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

პოლონეთში.

მოსკოვი 30 ივნისი. გაზ. „ვეჩერნი კურიერი“ იტყობინება, რომ ვარშავის პოლიციამ აღმოაჩინა კომუნისტურ ახალგაზრდათა იაჩეიკა შეპყრობილია 30 კაცამდე, უმრავლესობა სტუდენტებია და ეკუთვნიან მწარმოებელთა და ინტელიგენციის ოჯახებს, რამაც დიდი სენსაცია გამოიწვია. შეპყრობილებს ბრალდებათ არმიაში პროპაგანდის წარმოება ჯარის კაცთა შორის.

— სლივინსკის მიერ მინისტრების ახალი კაბინეტის შედგენას ელობება დაბრკოლება. ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა მიხალსკიმ უარი განაცხადა ახალ კაბინეტში მონაწილეობაზე, უმთავრესად იმის გამო, რომ სლივინსკიმ წარუდგინა მოთხოვნილება სამხედრო საჭროებისათვის და მთავარ სარდლების შესანახად კრედიტების გახსნის შესახებ.

— გაზ. „პორანიო“ სწერს, რომ ისტორიულ მონოგრაფიების მიხედვით, სლავინსკი პოლონეთის როლს ხედავს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან ბრძოლის წარმოებაში.

განიარაღების ნოტის შესახებ

მოსკოვი. ლიტვის მთავრობამ პრინციპიალური თანხმობით უპასუხა რუსეთის წინადადებას, რათა მოწვეულ იქნეს კონფერენცია განიარაღების შესახებ გადასადო რა საკითხის სამოლოო გადაწყვეტა მანამ, სანამ არ გამოირკვევა შედეგები ბალტიის სახელმწიფოთა მოსალოდნელ კონფერენციისა. პრესა აღნიშნავს, რომ არ არის დანიშნული ამ კონფერენციის მოწვევის ადგილი და დრო და ფიქრობს, რომ საერთო კონფერენცია შეიკრიბება არა უადრეს შემოდგომისა. ლატვიის პრესის ცნობით, პოლონეთს განზრახული აქვს წამოაყენოს ზოგიერთი პირობები თავისი ამ კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ.

იტალიის მუშათა შორის

მოსკოვი. 30 ივნისი. იტალიის მუშათა პროფკავშირთა ფედერაციის მმართველობამ შეეცადა ერთის კვირის განმავლობაში ეწარმოებინა მოლაპარაკება მწარმოებლებთან. მელითონეთა გაფიცვების გამო მწარმოებელთა პროვოკაციულმა ტაქტიკამ დაარწმუნა მმართველობა იმაში, რომ შეუძლებელია კონფლიქტის ლიკვიდაცია მშვიდობიანობის გზით. გაფიცვის კომიტეტმა ამის გამო დადგინა გამოაცხადოს მეტალურგეთა საერთო გაფიცვები.

იძულებითი სესხი.

ნაუენი 1 ივლისი (რადიო) რეიხსტაგში იძულებითი სესხის კანონ პროექტის განხილვის დროს, მოხდა განხეთქილება პოლიტიკურ პარტიათა შორის. საკითხის განხილვა გადასდვეს პარასკევისთვის. შესაძლებელია შეთანხმება, რომელსაც მხარს დაუჭერს უმრავლესობა.

რეკვიზიცია.

ნაუენი 1 ივნისი (რადიო). რეიხსტაგში, სახალხო პარტიის შეკითხვის საპასუხოთ, საფრანგეთის ჯარების მიერ რეინლანდში ავტომობილების რეკვიზიციის შესახებ, — მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ამის შესახებ შეეკითხა საფრანგეთის მთავრობის.

„შეთანხმება“.

ნაუენი 1 ივლისი. ზემო სილეზიაში — გინდენბურგში გერმანელ მოხალისეთა რაზმებისა და საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც გერმანელებმა უნდა აწარმოონ თავდაცვა პოლონელ ბანდიტების თავდასხმისაგან. პოლონელებმა თავის მხრივ დახმარება სთხოვეს საფრანგეთის ხელისუფლებას. მოხდა შეტაკება გერმანელებსა და პოლონელებს შორის. არის მსხვერპლი. მოკლულია 13 გერმანელი, მათ შორის ერთი ქალი და ორი ბავშვი. ბევრ სახლებში ტყვიისმფრქვეველებიდან სროლით ჩამტვრეულია ფანჯრები.

გაფიცვა ვენაში

ბორდო 1 ივლისი. ვენასა და მის მიდამოებში გამოცხადდა ტრამვაის გაფიცვა.

რუსეთი

ესერების დამცველები ხაზლვარ-გარეთ.

მოსკოვი, 30 ივნისი. როზენფელდმა და ლიბკნეხტმა ჩასვლისთანავე გაუზიარეს გერმანიის პურეუანზიული პრესის წარმომადგენლებს თავიანთი შთაბეჭდილებანი. მოსკოვში ყოფნის შესახებ როზენფელდმა განუცხადა გაზ. „ბერლინერ ტაგებლატის“ წარმომადგენელს ხვათა შორის შემდეგი: „დამცველები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას დაეკითხათ მოწმეებისათვის და გაეცნობოდინ საქმეში დაროვილ დოკუმენტებს“. ამ ცნობის საზიზღარი სიყალბე აშკარავდებოდა მეორე დამცველის, როზენფელდის ამხანაგის ლიბკნეხტის განცხადებიდან, ლიბკნეხტმა გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგის“ წარმომადგენელთან ბაასში სიტყვა-სიტყვით შემდეგი გამოთქვა: „ჩვენ დიდს სიამოვნებით დაგვრთეს ნება გაგვეჩინა დოკუმენტები და აქვეყნებს, რომელნიც ამ პროცესს ეხებოდა ჩვენ საშუალება გვქონდა ვრცლად მიგვეთითებია ამ დოკუმენტებზე დაწვრილებით გაგვაცნეს ჩვენ აგრეთვე საბრალმდებლო აქტს“.

ამბ. რადიკის წერილი.

მოსკოვი, 30 ივნისი. გაზ. „პრავდაში“ ამხანაგი რადიკი შემდეგს სწერს: „ჩვენ უკვე რამოდენიმეჯერ მივაქცევთ ყურადღება იმას, თუ რამდენათ ძნელი იქნება ჩვენი მეზობლებისათვის გასცენ პასუხი საბჭოთა მთავრობის ნოტას ურთიერთი განიარაღების შესახებ. ღღითი დღე აშკარავდება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ნამდვილ საბოტაჟთან ლატვიის და ფინეთის მთავრობები სცდილობენ სხვა და სხვა მიზეზებით, თავი მოაჩიდონ პირდაპირი პასუხის გაცემას ჩვენ წინადადებაზე. უფრო ურესად არის საქმე პოლონეთში, სადაც სამი კვირის განმავლობაში სწარმოებს მინისტრების ოთხშრმა. პილსუდსკიმ მიანდო ახალი კაბინეტის შედგენა სლივინსკის, რომლის პირველი ნაბიჯიც იყო გარეშე იერეთა მინისტრის სპირმუნტის დანიშნა. სპირმუნტი „გამოაჯდეს“ იმიტომ, რომ იგი ეზარებოდა სახელმწიფო მამამთავრის, რადგანაც მას ეს ეზმოდა, რომ შეუძლებელია საფრანგეთის სურვილის მიხედვით თამაში და რომელიც კარგათ ესმოდა რუსეთთან ბავის ჩამოგდების აუცილებლობა. პოლონეთის მომავალი მთავრობა ალბად დაიწყებს ქვემძრომობას საბჭოთა მთავრობის განიარაღების შესახებ ნოტის გამო.

რუსეთისა და მეზობელ სახელმწიფოთა წითელ-არმიელების, მუშების და გლეხობის საყურადღებოთ ჩვენ ჩავიწერთ, რომ საბჭოთა მთავრობამ მისცა მათ წინადადება ურთიერთ შეემცირებინათ შეიარღებანი, ხოლო ლატვიის ესტონეთის, ფინლიანდიის და პოლონეთის მთავრობები ლებულობენ ყოველგვარ ზომებს, რათა რაც შეიძლება უფრო დიდი ხნით გადასდონ ამ საკითხის განხილვა, რომელიც საარსებო საკითხია ყველა ქვეყნის მუშათა კლასისათვის. უეჭველია ეს საბოტაჟი არ არის მარტო ჩვენი მეზობლები მოქმედების შედეგი. არამედ იგი ხდება საფრანგეთის იმპერიალიზმის მრძანების თანახმად. ეს იმპერიალიზმი ვგულისხმობ ჩვენ დიდი წითელი არმიის არსებობის ფაქტს. საფრანგეთს ეძნელება ამ არგუმენტის დაკარგვა და ამიტომ საფრანგეთის დიპლომატია სცდილობს ყოფილ რუსეთის განპირა ქვეყნების მთავრობები არ მიუშვას საბჭოთა რუსეთთან შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკების დაწყებამდე. ჰაგაში ამ ჟამად სხდომები აქვს გამართული პატარა, მაგრამ პატიოსან კაპიტალისტურ ქვეყნების ექსპერტებისას, რომელიც ჩვენ ჩვენი ვალების აღგარიშებს გვიდგენს. წინადადებას ვაძლევთ საფრანგეთის მთავრობას პირველ რიგში მიმართოს ვარშავას. თუ პოლონეთი და მისი მეგობრები... (დასასრული არ არის მიღებული).

თეხვის კამპანია.

მოსკოვი, 30 ივნისი. ზამთრის პურის მოსავალს სიმბირსკის მაზრაში გარგი პირი უჩანს. გაზაფხულის პურის მოსავალი კარგი იქნება. მკა კარგათ მიმდინარეობს.

საერთო სამოქალაქო კადასახადი.

მოსკოვი, 30 ივნისი. სრულიად უკრაინის ცენტრალურმა აღმასკომმა დაადგინა აღნიშნოს პოლტავაზჩინის წარმატებითი და ენერგიული მუშაობა საერთო-სამოქალაქო გადასახადის შეკრებაში.

ხარკოვის მეალითონეთა ყრილობა.

მოსკოვი, 30 ივნისი. ხარკოვის მეალითონეთა ყრილობაზე მოსმენილ იქმნა ამბ. ხარკოვსკის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მალარიის საწინააღმდეგო კონფერენცია.

(მე-3 სხდომა)

პროფ. მარტინოვსკი მალარიის შესახებ.

28 ივნისის საღამოს სხდომა მეტ ინტერესს იწვევს და ხალხით სავსეა მედიკური საზოგადოების დარბაზი. პროფ. ი. მარტინოვსკი აკეთებს მოხსენებას მალარიის საწინააღმდეგო ბრძოლის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ 20—21 წ. მსოფლიომ განიცადა უნახველი ეპიდემია მალარიისა. ევროპის ქვეყნებში მალარიით დაავადმყოფებული რიცხვი 2 ჯერ გადიდდა განსაკუთრებული გავრცელება მალარიის ხვდა კავკასიაში, თურქესტანში და ეხლა ჩაკვე რუსეთის ჩდილოეთ გუბერნიებში.

რუსეთში მალარია გავრცელდა განსაკუთრებით სამოქალაქო ომის დროს. ჯარში ფართო ხასიათი მიიღო ამ ეპიდემიამ და ხშირად უკარგავდა მას შრომის უნარს.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მალარიას დამღუპველი ნაწილობა აქვს არა მარტო მოსახლეობის ფიზიკურ ყოფაზე, არამედ ეკონომიურ ცხოვრებაზედაც. მან მოიყვანა მრავალი მაგალითები ამ დიდებულების ნათელსაყოფად.

მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ, როდესაც ხოლერის 1-2 შემთხვევა არის, მაშინ დიდი ღელვა არის ხოლმე საზოგადოებაში, ხოლო, როდესაც მალარია ნელ ნელა და ძლიერად ლეავს მოსახლეობის ჯამთელობას, ამას სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ და მის წინააღმდეგ არ ვიბრძვეთ ენერგიულ ბრძოლასო.

რუსეთში, ამ ... ყურადღება მიაქცეს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლას, რისთვისაც დაარსდა სპეციალური ინსტიტუტი ტროპიკულ ავადმყოფობათა საბრძოლველად, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი სპეციალისტები. ინსტიტუტი მჭიდრო კონტაქტში მუშაობს ჯანმრთელობის კომისარიატთან, რომელნიც დიდ დახმარებას უწევენ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლას.

რუსეთში მოფენილია მალარიის საადგურების საკმაო რაოდენობა, რომელნიც დღესაც მოქმედებენ. აგრეთვე დაარსებულია კომისიები ... ჩრდილო კავკასიაში კი ჰიდრო ტექნიკური რაზმები, მალარია არსებითად ინტერნაციონალური ეპიდემიაა და მის წინააღმდეგ ბრძოლაც საერთო ძალებით არის საჭირო. ამიტომ საჭიროა მჭიდრო კავშირი რესპუბლიკათა შორის ამ ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მომხსენებელმა მრავალი მასალა მოიყვანა მალარიასთან ბრძოლისათვის საყურადღებო და დასაკვნა.

ეუცილებელია შექმნა ჰიდრო-ტექნიკური რაზმების, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ექიმებმა.

მომხსენებლის სიტყვა აპლოდისმენტმა დაფარა.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები და მოკლე კამათიც.

ახალი ამბები

— **ხელ ახალი არჩევნებისათვის.** ტფილისის ქალაქის საბჭოს ხელ-ახალი არჩევნებისათვის საბჭოს პრეზიდიუმმა ოქმ-ტებით გადასდო არჩევნებისათვის 20 მილიონი მანეთი.

— **ღვინით სავაჭროებში** ტფილისის ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად 1 კომისარიატის ღვინის სავაჭროებს აღარ ძალა ღვინის გაყიდვა. სამმართველო განყოფილებას ეევალა ადგილობრივად გამოიკვლიოს თუ ვის შეიძლება მიეცეს ღვინის ვაჭრობის ნებართვა.

— **დაკარგულია** მოწმობა, მიცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ დარგიდან ზაქარია ფსეინაშვილის სახელზე, რაც ცხადდება გაუქმებულად.

— **წყალსადენის გაფუჭება.** ქალაქის წყალსადენის დირექტორმა ენგ. ა. დიასამიძემ მიმართა ტფილისის კომუნალურ მეურნეობას თხოვნით, რომ მიიღოს ზომები, რათა ვერის ხიდზე ავტომობილების მოძრაობა ხდებოდეს ნელი სიარულით, რადგან ავტომობილის ჩქარი მოძრაობა აფუჭებს მაგისტრალურ მილებს რომელსაც შეკეთება სჭირდება ყოველდღ ურად. თუ ავტომობილთა ჩქარი მოძრაობა არ შეჩერდება, იმ შემთხვევაში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე წყალსადენი მოიშლება.

ბათუმის გაჯანსაღება. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა სახ. ჯანმრთელობის კომისარს საჩქაროდ გამოარკვიოს სანიტარული მდგომარეობა ეჭარისტანისა და დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ბათუმის გასაჯანსაღებლად, ხოლო ეპიდემიის წინააღმდეგ ზომების მისაღებად მიიღოს რესპუბლიკაში გადადებული მილიარდი მანეთი.

ამ განკარგულების გამო ჯ. ნმრთელობის სახ. კომისარი ექიმი კუჭაიძე სანიტარულ-ეპიდემიური განყოფილების გამგე ნაზარეტიანთან ერთად გამგზავრა 15 ივნისს ბათუმში, რათა ადგილობრივ შეისწავლონ სანიტარული მდგომარეობა ქალაქისა და პორტისა, რომ გააუმჯობესონ მდგომარეობა გადმოხვეწილთა და მოახდინონ იმ თავშესაფარის ლიკვიდაცია, რომელიც შექმნეს გადმოხვეწილებმა ხოლერის ეპიდემიისათვის. ამავე დროს რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარმა გააგზავნა განმთვისებელი გამომყვანი მატარებელი № 2, რათა სანიტარულად გაიწმინდოს ბათუმში თავმოყრილი გადმოხვეწილნი.

ბათუმში ჩამოსვლისთანავე ამბ. კუჭაიძე გაეცნო ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას და მიიღო შემდეგი ზომები: მოიწვია ეჭარისტანის უწყებათაშორისო თათბირები, სადაც გარკვეული და მითითებული იყო მთელი რიგი ზომებისა, რომლის საშუალებით შეიძლება აცილებულ იქმნას ეპიდემიური საშიშროება; შეიქმნა საგანგებო ეპიდემიური კომისია, რომელსაც გადაეცა 550 მილ. მან. ამუშავებულ იქმნა განთვისებულად გასატარებელი მატარებელი, რომელშიც ხდება ტანისამოსების დეზინფექცია, დარეცხვა და დაუთოვება საცვლებისა, ხოლო თვით გადმოხვეწილთ ეძლევა უფასო ბანაო და სა-

პონი. ამის შემდეგ მათ უცრიან ხოლერის საწინააღმდეგო მინოვაქცინას, რომლის შემდეგ ისინი გადადის ბათუვაკის განკარგულებაში ბათუმის ახლოს.

სულ გადმოგვეწილნი იყო 8000 კაცამდის, რომელთაგან 6000 ბერძენი წავიდა საბერძნოში. საქართველოში დარჩა 1000 ბერძენი და იმდენივე სომეხი და მცირე ჯგუფი მუსულმანებისა (100 კაცამდის), რომელნიც მეჩეთში არიან თავშესაფარგბლად.

იკო შემთხვევები გადმოხვეწილთა შორის კუპისა და ნაწლავების აშლისა და ხოლერით დაავადმყოფებისა და თუ არა უკანასკნელი სასწრაფო ზომები ქალაქს უქადდა ეპიდემიის საშიშროება.

არის მოწყობილი ხოლერის გარეჯი, სადაც მოთავსდება ხოლერით დაავადმყოფებულნი. გარდა გადმოხვეწილთა იყო შემთხვევა 2—3 ხოლერით ავადმყოფობისა.

დადგენილია აგრეთვე მოხდეს მასსიური ხოლ. საწინ: მინოვაქცინით აცრა, რისთვისაც საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გადასდვა საკმაო რაოდენობის მინოვაქცინა, ხოლო აპარისტანის ჯანმრთელობის სახ. კომ. წინადადება აქვს მიცემული იხელმძღვანელოს საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მითითებით და ინსტრუქციებით.

ქალაქის ბავშთა სახლის დათვალიერებით ამხ. კუპაიძე კმაყოფილი დარჩა და შტატს მადლობა გადაუხადა.

დათვალიერებული იქმნა სხვა მედიკური დაწესებულებანი პორტისა და მიღებულია ზომები რეორგანიზაციისათვის მედიკურ-სანიტარული საქმისა სანაპირო ნაკუთადგურებში.

არის სრული იმედი, რომ თუ გატარდა ყველა ზემო-აღნიშნული ზომები ხოლერის ეპიდემია შეწყდება დასაწყისშივე.

სამხატვრო ქრონიკა

— **კინო—„არფასტოში“.** დღეს, ივლისის 2-ს, დღის 12 საათზე კინემატოგრაფ „არფასტოში“ არტისტების, ჟურნალისტების, მწერლების, მხატვრებისა და ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა მოღვაწეთათვის ნაჩვენები იქნება მხატვრული კინო-დრამა 5 მოქმედებად ცირკის ცხოვრებიდან: „იცეკვე, საბრალო მახარავ, იცეკვე“. ამ კინო-დრამას პირველად აჩვენებენ ტფილისში და უცხოეთის პრესის ცნობით მეტად საინტერესო, როგორც თავისი შინაარსით, ისე გარეგანი ფორმითაც. პიესაში მონაწილეობას ღებულობს ცნობილი ამერიკელი არტისტი ვოლდემარ გარისონი. ოთხშაბათიდან ამ კინო-დრამას აჩვენებენ იმავე შენობაში საზოგადოებას.

— **ხელოვანთა სასახლე. პავლე ინგოროყვას მოხსენება.** 4 ივლისს, სამშაბათს, საღამოს რვა საათზე, ახალი მწერლობის კავშირის სხდომაზე (ხელოვნების სასახლეში, სერგიევის ქუჩა № 13) პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას: „რად ეწოდება შოთა რუსთაველს მანის სეფე და კუპარი“. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება დამატებითი ცნობები რუსთველის ბიოგრაფიიდან. დასწრება უფასოა საგანგებო ბილეთებით.

პარტიაში

ფრაქციის კრება. კვირას ივნისის 2-ს „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია ტფილისის ახლად არჩეული საბჭოს ჩვენი ფრაქციის სხდომა. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

—

მბეჭდავ მუშების კრება. ორშაბათს 3 ივლისს, საღამოს სრულ 7 საათზე, პარტიის ცენტრალურ ბიუროს ბინაზე (ლორის-მელიქოვის ქ.) დანიშნულია მემარც. სოც.-ფედერალისტთა მბეჭდავ მუშების ფრაქციის კრება. დღიური წესრიგი: მომავალი სრულიად საქართველოს მბეჭდავ მუშათა ყრილობა. ამხანაგების დასწრება სავალდებულო და აუცილებელია.

—

— **აჩრდ ჯორჯაძის სუბათები.** დაბეჭდებულია გულზე სატარებლად ემალის სურათები აჩრდ ჯორჯაძისა, რომლის მიღება შეიძლება პარტიის მთავარ ბიუროს ბინაზე საქალაქო კომიტეტის მდივანთან და გაზ. „ტრიბუნას“ რედაქციაში.

საყურადღებო ფაქტი

თითქმის 3—4 თვე იქნება, რაც სამსახურს დავეძებ და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთგან წავაწყდი (მუშათა შორის, რკ. გზელთა პროფკავშირში) ისეთ ხალხს, რომელიც თბილი და ტკბილი სიტყვით მიმიღეს და მოკლე ხნის განმავლობაში დანაპირებიც სისრულეში მოიყვანეს. 15 ივნისს ზემოხსენებული დაწესებულებიდან, როგორც ყოფილი რკინისგზელი, ამხ. მურდალაშვილმა და უსტიაშვილმა სათანადო ქაღალდებითა და ნდობით აღჭურვილი გამგზავნეს ამიერ-კავკასიის რკ. გზების საშემოსავლო ნაწილში, რომელსაც განაგებს თურმე მოქ. ობოლენსკი.

პირველ დღეს არ მეღირსა მისი ნახვა. ქაღალდები დაიტოვა მისმა ხელქვეითმა და მითხრა ხვალ შემოიარეო. გიახელით მეორე დღეს—მიბრძანეს—„ხვალ შემოიარე“, ეს ქაღალდები უკანვე უნდა გავაგზავნოთ დასამტკიცებლად... საკვირველია ქაღალდს აგზავნიან ისევ იმ დაწესებულებაში, საიდანაც ერთი დღის წინათ მიიღეს, დასამტკიცებლად. ქაღალდს, აგზავნიან დასამტკიცებლად და იმავე დროს არც რეზოლიუციას აწერენ თავის მხრით და არც ნომერს უსვამენ.

თანახმათ მათი ბრძანებისა გიახელით „მეორე დღეს“ მაგრამ—რა? ისევ ახალი „ხვალისათვის“ დამიბარეს, რადგან „დამტკიცებული“ ქაღალდები პროფკავშირიდან ჯერ კიდევ არ მოსულიყო.

მეორე დღეს პირდაპირ პროფკავშირში გავსწიე და მივმართე ამხ. უსტიაშვილს; მან მაშინვე მიმიხახა განცხადება, მომცა ხელში და სიცილით მითხრა: —ამას არაფერი არ უნდა, ეგ მხოლოდ ობოლენსკის „კაპრიზებია“ მეტი არაფერია.

ეხლა წაიღე, მიუტანე და თუ კიდე რამე გითხრას მაშინ სხვანაირათ მოვიქცევითო.

როდესაც მიუტანე ქაღალდები ბ-ნ ობოლენსკის ხელქვეითს და უთხარი ისიც, რომ ისევ იმ სახით იყო ქაღალდები, არავითარი წარწერა არ ქონდა ზედ;—რაღაც ირონიულად მიპასუხა:—რომ მოგცემ საკმარისიო, გამომართვა და მიბრძანა გარეთ. მომეცადა.“

ცოტა ხნის შემდეგ დამიძახა მომცა ისევ ის ქაღალდები ხელში მხოლოდ ზედწარწერით: „Прошу личныя дела о службе“ და მითხრა რომ ბ-ნ უფროსს—ობოლენსკის ასე სურს და მე ვერაფერს ვიზამ...

იძულებული ვიყავი პირადათ მიმეტანა ობოლენსკისათვის, დინჯათ ასწია თავი და მკითხა:—„В чем дело?“ მე ბევრი ლაპარაკის გუნებაზე აღარ ვიყავი და ამიტომ ქაღალდები გადავეცი.. ლაფიერდა და კვლავ წარმოსთქვა: „Ну так что-же! Напишите заявление на русском языке, положите подробно где служили, прилож. оправ. документы и принесите завтра. Что-же касается вашего заявления, оно на груз. языке и я его не могу прочесть“.

რასაკვირველია ამით საქმე არ დასრულებულა და იძულებული ვიყავი ახალ დაწესებულებისათვის მიმემართა და საქმე წესიერად წამეყვანა, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დღეს ასეთ ბიუროკრატიზ-ს და სახელმწიფო ენის უპატივცემლობას, რომელსაც ეწევა მოქ. ობოლენსკი ადგილი არ უნდა ქონდეს. საჭიროა ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

Nason.

დ ე კ რ ე ტ ი № 7.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1921—1922 ხლის სასურსათო გადასახადის ნარჩენის შესახებ.

1. სასურსათო გადასახადი, რომელიც დაწესებულ დროს არ იქნება ჩაბარებული, გადასახადის ნარჩენად ჩაითვლება.

2. ნარჩენად ჩაირიცხოს სასურსათო გადასახადის ჩაუბარებელი ნაწილი (გარდა რევოლიუციონური კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსი და მაზრის სამეულების მიერ მოხსნილი ნაწილისა, რაც აღნიშნულ უნდა იქნეს წერილობით ჟურნალებში:

ა,—პურეულისა, კართოფილისა, ბოსტნეულისა, ხილისა—1922 წ. ივნისის 15-დე;

ბ,—ღვინისა, ხორცისა, მატყლისა და რძის პროდუქტებისა—1922 წ. ივლისის 1-დე.

ყველა კულტურის ნარჩენი გადახდილ უნდა იქნეს—არა უგვიანეს 1922 წ. სექტემბრის 15-სა, ხოლო სიმინდისა—არა უგვიანეს 1923 წ. თებერვლის 1-სა.

3. წინა მუხლში აღნიშნული ვადის შემდეგ ნარჩენი უნდა გადაჰხდეს თვეში ნახევარი პროც. საურავის ზედ შეწერით.

4. ნარჩენის გადამხდელთ უფლება ეძლევათ ერთი პროდუქტი მეორე პროდუქტად შესცვალონ, აგრეთვე შესცვალონ გადასახადი ფულად, ეკვივალენტით, თანახმად სასურსათო სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციისა.

5. განთავისუფლებულ იქნეს ნარჩენად ჩასარიცხ გადასახადი ნახევრისაგან ის მეურნეობა, რომელიც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალდა და რომელიც შეიძლება 1922—1923 სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში გამობრუნდეს.

6. მეურნეობა, რომელმაც სტიქიური უბედურებისაგან დიდი ზარალი განიცადა და რომლის ეკონომიური მდგომარეობისა და გადახდის შემძლეობის აღდგენისათვის საჭიროა წლების მთელი რიგი, განთავისუფლებულია სასურსათო გადასახადის ვალად დარჩენილ ნაწილისაგან.

7. ამა დეკრეტის მე-5 და 6 მუხ. თანახმად, ნარჩენის გადახდისაგან განთავისუფლებას აწარმოებს სამაზრო სამეული.

8. პასუხისმგებლობა ნარჩენის თავის დროზე გადაუხდევინებლობისათვის დაეკისრება სამაზრო სამეულს და თემის აღმასრულებელ კომიტეტს:

9. ამა დეკრეტის განხორციელება დაევალება სასურსათო სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს საჭირო ინსტრუქციები და დადგენილებანი.

10. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე**

1922 წ. ივნისის 29.

ტფილისი-სასახლე.

დ ე კ რ ე ტ ი № 10.

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა ხა ჭეხი ნადირობის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ნადირობის საქმის მოწესრიგება ეკუთვნის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

2. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ნადირობის საქმის გამგებლობისათვის დაევალება:

ა) მოწყობა და გაძღოლა ნადირობის მეურნეობისა, ამასთანავე საანდირო ცხოველების დაცვა-მოშენებაც;

ბ) გამოცემა წესებისა, დადგენილებებისა და ინსტრუქციებისა ნადირობისა და მისი მეურნეობის ყველა საკითხების შესახებ, შემუშავება მონადირეთა კავშირების ნორმალურ წესდებისა, ნადირობის ვადის დანიშვნა და ნადირობის წესების შესრულებისათვის თვალყურის დევნება.

გ) მონადირეთა კავშირების და ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შეთანხმება ნადირობის გამგებლობის საქმეში.

დ) რესპუბლიკის სანადირო ადგილების სარგებლობის მოწესრიგება, განკარგულება, აღკვეთილი ტყეების დაწესება, ცხოველების გასამრავლებელი ადგილების, ზოოლოგიური ფერმების, საცდელი მეურნეობის და სხვ. დაარსება;

ე) სპეციალური სანადირო სადარაჯოს მოწყობა;

ვ) სანადირო მრეწველობის მდგომარეობის გამორკვევა, ნადირობის სტატისტიკური ცნობების შეკრეფა, მონადირეთა ყრილობების მოწვევა, ჟურნალების, ანგარიშების და მონადირეობის შესახებ სხვა ბეჭდვითი ნაშრომის და ფურცლების გამოცემა;

ზ) მონადირეებისათვის სანადირო იარაღისა, საჭირო მასალისა და ხელსაწყოს მიწოდების ორგანიზაცია;

თ) მტაცებელი და მავნე ცხოველების გასაწყვეტად სათანადო მოქმედების წარმართვა და ღონისძიებათა მიღება.

3. ნადირობის უფლება აქვს ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც კი წევრად ან კანდიდატად ირიცხება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში აღნუსხულ მონადირეთა კავშირისა გაერთიანებულ ორგანიზაციაში.

4. ნადირობის კანონიერ საშუალებად ჩაითვლება:

ა) თოფით ნადირობა, როგორც მეძებრით ისე ნაგაზებით.

ბ) ნადირობა მწევრებით.

გ) ნადირობა ფრინველებით (მიმინო-შევარდნებით და სხვ.).

შენიშვნა: ნება დართულია მთელი წლის განმავლობაში ყოველი მტაცებელი ნადირის და ფრინველის და მათი ბარტყების ხოცვა, აგრეთვე მათი ბუდე-ბუნაგის მოშლა-განადგურება, მინდორ-ტყეში მოწანწალე ძაღლებისა და კატების ხოცვა ყოველივე საშუალებით, გარდა მოწამლვისა.

5. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა დაწესოს, ნადირობის მეურნეობის მოსაწყობად და გასაძღოლად, მონადირეთა კავშირის ყოველ წევრზედ განსაზღვრული წლიური გადასახადი, რომელსაც ახდევინებს ხსენებულ კავშირთა მეშვეობით.

6. სამეცნიერო მიზნით ნადირობა და ცხოველების და ფრინველების დაჭერა, აგრეთვე კვერცხების და ბუდეების შეგროვება შეუძლიანთ მონადირეთა კავშირის არა წევრებსაც, გარნა მიწათმოქმედების სახალხო კომისარის ნებართვით და მხოლოდ იმ რაოდენობით და იმ დროს განმავლობაში, რაც აღნიშნული იქნება სანებართვო მოწმობაში.

7. რესპუბლიკის ფარგლებში ნადირობის ნებართვის მოწმობად ჩაითვლება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში აღნუსხულ მონადირეთა კავშირების საწევრო ბარათი.

8. მონადირეთა კავშირის საწევრო ბარათით მის პატრონს უფლება ეძლევა:

ა) იქონიოს, ატაროს და სანადირიდ იხმაროს ყოველგვარი, ყველა სახისა და ყალიბის სანადირო იარაღი, როგორც: საფანტის სადა-ლულიანი, თუ სამ ლულიანი თოფი, შტუცერი, ყარაბინი, აგრეთვე ყველა სხვა დაღარული სპეციალური სანადირო თოფი, ჯიბის რევოლვერი არა სამხედრო ჯურისა, ნადირობის დროს თავის დასაცავად, მჭრელი იარაღი, სანადირო მასალა, ხელსაწყო, გაწყობილობა და ფრინველ-ნადირის საჭერი იარაღი იმ რაოდენობისა, რაც საჭირო იქნება პირადი გამოყენებისათვის.

ბ) ინადიროს ყველგან რესპუბლიკის ფარგლებში, გარდა დასახლებული ადგილებისა, საკარმიდამო ნაკვეთებისა, აღკვეთილ ტყისა და ყველა სხვა იმ ადგილისა, სადაც ნადირობა მოწესრიგებულ იქნება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული განსაკუთრებული წესებით.

9. მეთვალყურეობა სანადირო წესების შესრულებისათვის ადგილობრივ,—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით,—დაევალება:

ა) სატყეო ადმინისტრაციისა და მილიციის ორგანოებს და

ბ) მონადირეთა გაერთიანებულ ორგანიზაციებს.

10. ნადირობის კანონების და წესების დარღვევისათვის დამნაშავე დაჯარიმდება სამართლის წესით ას მანეთამდე ოქროთი ან თავისუფლების აღკვეთით ექვს თვემდე.

11. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

12. ამა დეკრეტის გამოქვეყნებისათანავე ძალასა ჰკარგავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წ. ივნისის 3-ს თარიღით გამოცემული დებულება—საქართველოს მონადირეთა კავშირის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

მიწადმოქმედების სახალხო კომისარი **ს. თოდრია.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ა. **სალარიძე.**

1922 წ. ივნისის 28.

ტფილისი—სასახლე.

ღია წერილი

ამხ. გამყრელიძეს.

მეორე თვეა, როც მოგმართეთ თქვენ პატაკით, სადაც აღვნიშნე უსამართლობა „ოკას“ ნივთ-საწყობის უფროსისა მიერ, რომელმაც უსამართლოდ და უსაფუძვლოდ დაითხოვა (ვითომც შტატის შემოკლებით) რამოდენიმე ქართველი მუზა და მოსამსახურები, მივლინებულნი ყოფ. ჩემდამი, რწმუნებულ სადაჯო გუნდში ხოლო გუნდის უფროსის შემადგენლობა გადაუგზავნა ქართულ შეერთებულ ბრიგადის შტაბის უფროსის განკარგულებაში, რომელნიც ვიყავით გადაუგნილი ქართულ ნივთ-საწყობიდან და არც კი დაგვაკმაყოფილა ჯამაგირით, უმეტესი ნაწილი 1 თებერვლიდან.

თქვენის ბრძანებით, მომარაგების კანცელარიამ მოსთხოვა ახსნა-განმარტება „ოკას“ საწყობის უფროსს, თუ რა მიზეზით არ ვიქენით დაკმაყოფილებული დათხოვნილნი ჯამაგირით, მეც პირადად რამოდენიმეჯერ ვსთხოვე საწყობის უფროსს, რომ დაეჩქარებინა პასუხი, მაგრამ რაღაცა მიზეზებისა გამო საწყობის უფროსმა არ უპასუხა ახსნა-განმარტებაზე უკანასკნელს. თქვენ მიერ იქმნა დანიშნული კომისია ამ საქმის შესახებ და ერთი თვე სრულდება თითქმის, რაც მუშაობენ იგიი. მეორედ, მივეცი ამ საქმეზე პატაკი ს. ს. ს. კომისართა თავჯდომარეს, რომელმაც აღძრა შუაძდგომლობა „ოკას“ საბჭოს წინაშე, რომ დაეკმაყოფილებინათ დათხოვილნი ხალხნი ჯამაგირით, რომელიც გადმოგვცეს თქვენ პირადათ „ოკას“ სამხედრო საბჭოში 12 ივნის განმავლობაში, ვერ ველირსეთ პასუხს და ვერ გავიგეთ რაშია საქმე?

ქართულ ანდაზის არ იყოს „მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო“, ისე კი გვეუბნებით და გვაიმედებთ: „ხვალ ახ და ზეგ გამოირკვევა სულ-ყველაფერი და ჯამაგირს მიიღებთო“. ჩვენდა საუბედუროდ ეს ხვალ და ზეგ ამდენი ხანია არ გათავდა, ნუ თუ სამი თვის ჯამაგირის მისაღებად უნდა ვიაროთ სამი თვე? გთხოვთ გვაცნობოთ, მოგვეცეს თუ არა ძველი თვეების ნამსახურ ჯამაგირები და როდის? ჩემის აზრით დათხოვნილ ხალხს არამც თუ ძველი ჯამაგირი, არამედ უნდა მიეცეს სალიკვიდაციო ფული, თანახმად ს. ს. შრომის სახალხო კომისარიატის ბრძანებისა.

კალისტრატე ბათლომის ძე ქაჯაია.

რედაქტორი—საერედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტ

ტირაჟი 700 საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა, 4. ნ. ფ. ს. ც.